ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 4 ივლისი № 1513

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი** № 372.

დაარსდა ქ. ტფილისში
პირველი
ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ დადებით. (1000—9

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ზ. ი. ჭაჭანიძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კანის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვების. 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფედოროვი—შინაგანი და ბავშვთა 1—2 საათამდე.

ზ. დ. მარკევიჩი—სალოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5— საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყებას:

ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ნაწილის ხარჯის ამკრებ ინსპექტორის თანაშემწეს გუბერნსკი სეკრეტარს ჩხეიძეს ებოძა კოლლეჟსკი სეკრეტრობა.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 **ივლისი.**

პეტერბურგი. დღეს მოხდა მე-73 ტირაჟი 1-ლ შინაგან მოგებიან სესხისა. გაბათილებულ იქმნა შემდეგი სერიები: 15268, 12183, 7005, 9535, 4347, 18976, 7170, 2663, 10113, 18923, 7383, 16292, 18537, 17672, 19059, 1194, 421, 18880, 17647, 11680, 17330, 19624, 10191, 5956, 14117, 6252, 13459 158 9, 6328, 6177, 11369, 15426 3946, 8841, 13720, 16825, 19850, 9526, 6282 6590, 19212 12074, 8012, 4220, 12848, 11748, 5241, 9012, 14319, 6332 14810. 2490, 12191, 13850, 11419, 196255(?, 2342, 12. 3777, 7813, 19414, 17462, 6391, 14065, 3213, 10178, 9718, 7464, 17892, 17064, 17430, 10247, 2892, 19760, 1082, 11460, 1825, 11339, 18751, 13164. 3865, 10602, 12288, 14054, 17052 7843, 1687, 19152, 17614, 12587, 1840, 7086, 10348, 17927, 10731, 4380, 7292, 1176, 4695, 10338, 17181, 18924, 4781, 7662, 6405, 3362, 858, 9995, 17824, 6652, 7607, 19232, 6035, 13621, 16724, 3223, 11476, 11782, 3258, 17411, 10372, 3784, 2021, 3868, 15970, 12262, 19915, 4388 901, 1795, 10220, 1528, 16016, 17084, 18903, 19508, 5143, 8785, 6408, 8393, 16707, 17213, 16445 17032, 7960, 18551, 16975, 11231 17570, 11052, 3113, 2364, 16901, 16621, 10447, 18047, 7841, 6436. 2577, 19885, 4416 16966, 7021, 12424, 7821, 9498 1960, 9631, 16494, 823, 11576, 18422, 5429, 19675, 4442, 7226, 10216, 3531, 9561 7396, 18156, 8506, 3422, 4511, 11884, 16427, 7703, 179 2, 18989, 19974, 10420, 7454, 1132, 17192, 12781, 16074, 6028, 594, 10223, 17687, 6459, 13160, 8434, 2676, 2232, 14460, 16751, 18911, 19474, 1696, 13469, 10117, 2501, 13299, 19797. 14987, 9027, 11095, 19259, 15069, 8533, 5178, 17768, 6058, 9365 1981, 9165, 8181, 2537, 17110, 8400, 15859, 12552, 17148, 12963

ბელგრადი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კოლაშინში, ძველ სერბიაში, აქამდე მოკლულია სამი სერბი. მოძრაობას მეთაურობს პრიშტინის მუტესარიფი დიემან-ბეი. გუშინ მან გაჩხრიკა სერბიელების რამდენიმე ეკლესია იმის მომიზეზებით, რომ ვითომ იქ იარაღი იყო დამალული; ვერაფერი კი ვერ იპოვა. სერბიის კონსულის სიცოცხლე პრიშტინში დიდ სიფთხილეშია; მუფთი თხოულობს მის განდევნას.

გრაფრეინეტი. მოულოდნელად თავს დაესხნენ ბურების ბანაკს ბოოში; დაატყვევეს 31 ბური, დავლად წაიყვანეს 56 ცხენი.

კრადოკი. 30 ივნისს ერთი მეამბოხე სიკვდილით დასაჯეს მკვლელობისა და ღალატისათვის

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება, რომ ბურებმა გადასწვეს მურენსბურგში საზოგადო დაწესებულებათა სახლები და რამდენიმე ფერმა. ინგლისლების ორი რაზმი მივიდა ზარუსტაში და ტყვედ წაიყვანა რამდენიმე კაცი; ინგლისლებს მოუკლეს ერთი აფიცერი და დაუჭრეს 3 აფიცერი და 24 ჯარის კაცი. პოლკოვნიკ ბროდვუდის ბრიგადა თავს დაესხა რეიდს და ტყვედ წაიყვანა შტეინის ძმები; თვითონ შტეინი გაიქცა.

„დეილი ნიუსი“ სწერს: „კიტჩენერი ატყობინებს მთავრობას, რომ შესაძლებელია ქვეითა ჯარების მეტის წილის დაბრუნება ინგლისში, სამაგიეროთ იგი თხოულობს ცხენოსან ჯარის მომატებას. თუ ქვეითი ჯარი წამოიყვანეს სამხრეთ აფრიკიდან, მთავრობა თავს მოუყრის ჯარებს დურბანსა, მარიცბურგსა და იოჰანესბურგს შუა, რადგანაც მას საჭიროდ არ მიაჩნია მთელ კაპშტადტსა და პრეტორიას შუა მდებარე მანძილის დაჭერა.

პეკინი. ლიხუნჩანგმა სთხოვა ელჩებს, რომ ორ აგვისტომდე გაიყვანონ ჯარები სასახლეებიდან და ტაძრებიდან. ელჩები დასთანხმდნენ ამ თხოვნას და შეატყობინეს იგი მოკავშირეთა ჯარების უფროსებს.

პარიზი. ეროვნულმა დღესასწაულმა ბრწყინვალედ ჩაიარა; მრავალი სახლი გაჩირაღდნებული იყო; ბევრ ადგილას შუშხუნა აუშვეს და ცეკვა-თამაში გამართეს ღია ცის ქვეშ; ქუჩებს არა ჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობათ. პიას ქუჩაზე ერთის სახლიდან დამბაჩა გაისროლეს და მძიმედ დასჭრეს ერთი ქალი; სხვა არა მომხდარარა. პოლიციამ სულ 14 კაცი დააპატიმრა.

რომი. კრისპი პეტერბურგს წავიდა.

ხარკოვი. ნაფიც მზრუნველებმა გაკოტრებულ სავაჭრო ბანკის საქმეების განხილვის დროს აღმოაჩინეს დიდი ბოროტმოქმედება სისხლის სამართლის ხასიათისა, რაც უკვე შეატყობინეს სასამართლოს.

ყაზანი. აქ საშუალო მოსავალს მოელიან. ივნისში დასეტყვა 8,100 დესეტინა

ფელეტონი

წარსულის აღმაფრენიდან

ა. კ—ასი.

(თარგმანი რუსულით)

გული

აღმოჩნდა, რომ ჩემი გული სრულიად არაფრად არ ყოფილა გამოსადეგი! თუმცა მე ეს კარგა-ხანია ვიგრძენი, ამიტომაც იყო, რომ ექიმის სიტყვებს მშვიდად და აღუშფოთებლივ დავუხვდი.

მაშ ეგრე, განაჩენი გამოცხადებულია და დასჯა კი ჯერ ჯერობით გადადებული.

ნეტავი მაცოდინა, როდის მოიყვანენ სისრულეში ამ განაჩენს? არ ვიცი, მაგრამ ფიქრი მაზე, რომ მე გავხდი მონად, ყურ-მოჭრილ ყმად ამ ავადმყოფისა, ჩემი საბრალო გულისა, და მას შეუძლიან ყოველ წუთს ჩემი ტანჯვა გვემა და შეწუხება—მთლად მიშხამავს სიცოცხლეს.

ოჰ, რამდენი სიავე მომაყენა ამ ჩემმა მოუფიქრებელმა გულმა!

განა ეს არ იყო, რომ ახალ-გაზრდობისას მიღელვებდა სისხლს და ათას გვარ სურვილებს აღმიძრავდა?

განა ეს არ იყო, რომ შემდეგ ამ სურვილის ტალღას აღმიფრთოვანებდა ხოლმე და მიზეზი იყო ათას გვარ საზიზღრობისა?

განა ეს არ იყო, როდესაც გაჯავრებულს შემნიშნავდა, ყურში ჩამჩურჩულებდა ძმობა-ერთობის უარისყოფას და სატანასავით შხამ-გესლით სავსე სიტყვებს?

განა ეს არ იყო, რომ მიღვიძებდა ტკბილს ოცნებებს ბედნიერებაზე და შემდეგ კი, მიმზადებდა შხამ-ნაღვლით სავსე ფიალას და მასმევდა, როდესაც თვით ცხოვრება უმოწყალოდ ჰფანტავდა ამ ოცნების ძალს?

მაგრამ არა ერთი და ორი დანაშაული მოგიძღვის ჩემს წინაშე, შენ, შე უტვინო გულო!

განა შენ არ იყავი, რომ წამს შეცდომისა და ზნეობით დაცემისას სახეზე სირცხვილის ალ-მურს ამინთებდი?

განა შენ არ იყავი, რომ ბუკსა და ნაღარას მაკრავდი, თუ შეცდომას რასმე ჩავიდენდი?

მაშ ეგრევე მოისყიე წარსული ცოდვები, ჩემო საწყალო, საბრალო გულო!

განაღვიძე ძველებრ მიყუჩებულ-მიძინებული სინიდისი, და შენი უკანასკნელად აღმოქშინვა იყოს განგაშად, უსამართლობასთან საბრძოლველად.

ღვთიური ცეცხლები

რათა მოვშორებულიყავ მომავალ დღესასწაულის არეულობებს, სახლიდან გამოველ და უაზროდ დავეხეტებოდი ქალაქის მყუდრო ქუჩებში

თითქმის ანგარიშ მიუცემლად მივდიოდი წინ...წინ.. უეცრად ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სურათმა.

ჩემს პირდაპირ აუარებელი ბრჭყვიალა წერტილები მოგროვდნენ. ზოგი შორდებოდნენ შორს...შორს... ზოგი მიუახლოვდებოდნენ და ზოგიც ჰქრებოდნენ ჩემთა თვალთა წინ სადღაც...

რამდენისამე წამის შემდეგ გავჩნდი ცოცხალ ტალღებს შუა, რომელიც იქავე ახლოს მდგომ ეკკლესიასთან მიმდინარეობდა:

ჩემს წინ მიმოდიოდნენ ბერები, ახალგაზრდები, ბავშვები და სუყველას ერთად ეტყობოდა ერთი და იგივე მზრუნველობა: როგორმე ფრთხილად წაეღოთ შინამდე თავიანთი ღვთიური ცეცხლები.

იმისდა მიუხედავად, რომ ძალიან სცდილობდნენ, მოხდებოდა ხოლმე, რომ ცელქი ნიავი შემოუბერავდა და ჩააქრობდა ღვთიურ ცეცხლს, მაგრამ წამსვე მეორის დახმარებით ისევე აინთებოდნენ და თითქმის არ გამოჩნდებოდა ამ დროს არც ერთი ისეთი კაცი, რომ ამაში რომელსამეს დახმარება არ აღმოეჩინა, არ აენთო ჩამქრალი ცეცხლი.

ბრბო რამდენსამე წამს შემდეგ გაიფანტ-გამოიფანტა... დავრჩი მარტოდ.

მან ვერც კი მოასწრო, რამენაირად გარდმოეცა ჩემთვის თავისი გრძნობები, თავისი აღფრთოვანება, თავისი მხურვალე რწმენა, და მე ჩემი თავი ამ დროს ვიგრძენი ობლად მიტოვებული, მარტოდ-მარტო.

მწუხარებით მოვიგონე, რომ ოდესღაც მეც მეჭირა ხელში ჩემი სანათური, მაგრამ მისი ალი დიდი ხანია, რაც ჩაჰქრა...

ამის დამნაშავე ჩემი გაუფრთხილებლობა იყო, თუ უცაბედად ჩამიქრო ნიავმა,—განა სულ ერთი არ არის!

ის ჩაქრა და მე-კი მწუხარებით ვიცქირები აქეთ-იქით, რომ იქნება კიდევ თვალი მოვკრა როგორმე სადღაც გაბრწყინვებულს, ღვთიურს ცეცხლს.

მაგრამ ამაოდ... მწუხარე ბინდმა კვლავ მოიცვა ჩემი არსება...

მაშ, მიშველე, ძმაო, თუ შენი სანათური ჯერ კიდევ არ ჩამქრალა!

გაზაფხული.

როგორ არ უნდა უყვარდეს კაცს გაზაფხული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვავი და 8000 დესეტინამდე გაზაფხულის ნათესობა; ზარალი 360.000 მანეთს აღემატება. თიბვა სწარმოებს. სარწყავ ადგილებზე ბალახი საშუალოა, ურწყავზე კი—ცუდი.

ვარნა. ევქსინოგრადში გამოსათხოვარ სადილზე მთავარმა ფერდინანდმა დალია სადღეგრძელო ბოლგარიისა და ბოლგარიის ჯარის შემქნელის რუსეთისა, მეფისა, რუსის ჯარისა და ფლოტისა. დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ პასუხად დალია მთავრის ფერდინანდისა და ბოლგარიის ჯარის სადღეგრძელო.

ევქსინოგრადი. გუშინ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და მთავარი ფერდინანდი, დიპლომატიურ აგენტის ბახმეტიევის, მინისტრების და მთავრის ამალის თანხლებით იყვნენ ნავსადგურ ბურგასში. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯარების მონახულების შემდეგ საუზმეზე მთავარმა ფერდინანდმა მადლობა გადაუხადა მის უმაღლესობას მცხოვრებლების სახელით და დალია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა. საღამოს ჯავშნიან გემ „როსტისლავზე“ გამართული იყო დიდი სადილი. დღეს დიდი მთავარი სტოვებს ბურგასს და მიდის კიუსტენდში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ამ ბოლო დროს ინგლისელები დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ სკოლების რეფორმას. ამ საგნის თაობაზე ჩემბერლენმა ამ დღეებში საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ბირმინჰამის უნივერსიტეტში; ჩემბერლენი ამ უნივერსიტეტის საპატიო რექტორადაა ამორჩეული.

«რაც უფრო მეტად უკვირდები უმაღლესი განათლების საქმეს,—სთქვა ჩემბერლენმა ამ უნივერსიტეტის აქტის დროს,—მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ამ განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისათვის და რომ ჩვენში ეს სწავლა ცუდადაა დაყენებული, მეტადრე თუ სხვა ერების სწავლას შევადარებთ და ეს ერები-კი გვეცილებიან და სცდილობენ, რომ პირველი ადგილი, რომელიც ჩვენ ყველა განათლებულ ერთა შორის გვიჭირავს, წაგვართვან. ჩემის აზრით, მე XX საუკუნის დასაწყისს ბრიტანიის სასკოლო სწავლა საზოგადოდ, და უმაღლესი სწავლა—კერძოდ, უნდა შეიცვალოს; აქამდე ჩვენ მეტად ცოტა ყურადღებას ვაქცევდით ამ საგანს. ინგლისელები დიდის უნდობლობით უცქერიან ახალ სამეცნიერო აღმოჩენებს და მრეწველობის საქმეში სრულებით არ იყენებენ. თუ ამ ჩვეულებას თავი არ დავანებეთ, მაშინ საერთაშორისო გაჯიბრებაში მეტად უკან ვრჩებით სხვებს. გაზვიადება არ იქნება იმისი თქმა, რომ ეროვნული ცხოვრება და ეროვნული სიმდიდრე დიდადაა დამოკიდებული უმაღლესს სწავლაზე. იქნება ოპტიმისტის სახელიც მიწოდონ, მაგრამ მე მართლაც ოპტიმისტი ვარ და მრწამს, რომ ინგლისშიაც გაჩნდებიან ისეთი კაცები, რომლებიც ამერიკელი მდიდრებს მაგალითს მიჰბაძავენ და საშუალებას მისცემენ უნივერსიტეტების გასაუმჯობესებლად... ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ არც ერთი სტუდენტი, რომელსაც კი სწავლა სწყურიან, ისევ მწყურვალე არა ბრუნდებოდეს უნივერსიტეტის კარებიდან»

✿ ამას წინად დეპუტატთა პალატაში ბალფურმა სთქვა: ბურები ბრძოლაზე ხელს მხოლოდ იმიტომ არ იღებენ, რომ ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილი თანაგრძნობით უყურებს იმათ საქმესაო. ბურები დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ლიბერალებმა გაიმარჯვეს, მაშინ იმათი გულის წადილიც უთუოდ შესრულებული იქნებაო. განთქმული ჟურნალისტი სტედი, რომელმაც ომის დროს რამდენჯერმე ნახა პრეზიდენტი კრიუგერი, დოქტორი ლეიდსი, ვესელსი და ვოლმარანსი (ბურების მისიის წევრები), ამბობს ამის პასუხად, რომ ომის ასეთ გაჭიანურებაში ლიბერალების პარტია სრულებით უდანაშაულოა. «პირიქით, დარწმუნებული ვარ, ამბობს სტედი, თუნდაც რომ ეს უცნაურადაც ეჩვენოს ზოგიერთს კაცს, რომ ეს ომი სრულებითაც არ ასტყდებოდა, ინგლისში რომ მძლავრი ოპოზიცია უშიშრად და გაბედვით წინა დგომას გაეწია მთავრობისათვის, როცა ამან რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გაქრობა მოინდომა. ბურებს კარგად აქვთ შეტყობილი ინგლისის ოპოზიციის სისუსტე და სრულებით არა სწამთ, რომ ლიბერალებს რაიმე დახმარების გაწევა შეეძლოთ; იმათ კარგად იციან, რომ ინგლისში მეტად ცოტა მეგობარი ჰყავთ. თუმცა ეს მეგობრები მტკიცე და სამედო ხალხი არიან, მაგრამ მათ არავითარი გავლენა არა აქვთ ინგლისის პოლიტიკაზე. დასასრულ სტედი გადაწყვეტით აცხადებს, რომ ევროპაში მოსულ ბურების მისიას მე თითონაც კარგად გავაგებინე ეს გარემოებაო.

«მე ყოველთვის ვეუბნებოდი,—ამბობს სტედი,—რომ არც ერთი ინგლისელი დეპუტატი, თვით ლაბუშერიც კი არ დასთანხმდება, რომ ბურებს დამოუკიდებლობა დაუბრუნდეთ. ამ ნაირად ბალფურის ბრალდება სრულებით უსაფუძვლოა!»

შეერთებული შტატები. ამერიკელი მილიარდერები თითქო ერთი ერთმანერთს ეჯიბრებიან თავიანთ უხვი შეწირულებით. კარნეჯიმ ქალაქ სან ფრანცისკოს კიდევ 950,000 დოლარი შესწირა საჯარო ბიბლიოთეკის დასაარსებლად

მეორე მილიარდერმა როჯერსმა მთელი თავისი ქონება, 33 მილიონი დოლარი ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმს უანდერძა, თავის ცოლშვილს კი მხოლოდ 250 ათასი დოლარი დაუტოვა. ამ შეწირულებამ მით უფრო გააკვირვა ყველანი, რომ განსვენებული მილიონერი სიცოცხლის დროს სრულებით არად აგდებდა ხელოვნებას

✿ პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ 21 ივნისს ბძანება გამოსცა, რომ ფილიპინეს კუნძულებზე სამხედრო წესები 4 ივლისს უნდა მოისპოს და სამაგიეროდ სამოქალაქო მმართველობა იქმნება დაწესებულიო. ამ მმართველობის უფროსად ფილიპინეს კუნძულებზე დაწესებული კომისიის თავ-მჯდომარე ვილიამ ტაფტი იქმნება დანიშნული.

გენერალ ჩაფფი, რომელიც ჩინეთში ნამყოფ ამერიკელ ჯარებს უფროსობდა, ფილიპინეს კუნძულებზე მყოფ ჯარების მთავარ-სარდლად ინიშნება, გენერალ მაკ-არტურის მაგიერ. ჩაფის ხელში მხოლოდ იმ ადგილების მართველობა იქმნება, რომლებიც ჯერ კიდევ დამშვიდებული არაა.

სამხრეთ-აფრიკა. «ვიკლი დესპატჩ» ამბობს: ინგლისის მთავრობა დარწმუნდა, რომ ომი კიდევ ერთ წელიწადს მაინც გასტანსო. ინგლისის მინისტრები 10 ივლისს შეიკრიბებიან ამ საგანზე მოსალაპარაკებლად. მთავრობა მეტად შეფიქრიანდა, რომ ბურების სარდლები დამორჩილებას სრულებითაც არ აპირობენო; შეწუხებულია კიდე იმიტომაც, რომ ეხლა სამხრეთ-აფრიკაში ახალი ბალახი მოვიდა და ბურებს ისევ შეძლება ექნებათ, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე სწრაფად მივიდ-მოვიდნენ. ლორდ კიტჩენერს მეტად საყურადღებო ინსტრუქციები გაუგზავნეს. ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც ამ ბოლოს დროს გააუქმეს, ხელ ახლად იქმნება მიღებულიო. ამ ბოლოს დროს ყოველ თვე სამხრეთ-აფრიკაში 10,000 ცხენსა და ჯორს ჰგზავნიან. ინგლისის აგენტები ჩინეთში ხორცს ყიდულობენ კონსერვების დასამზადებლად. დასასრულ გაზეთი ამბობს, ვითომ ინგლისის სამხედრო წრეებში ლაპარაკობდნენ, რომ იქნება ლორდი რობერტსი სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნდესო.

✿ ინგლისის მთავრობას მიუწერია ლორდ კიტჩენერისათვის—ეცადეთ ბურების გამოჩენილი გენერლები და ოფიცრები რაც შეიძლება მეტი დაიჭიროთ ტყვედაო. როცა ამერიკელებმა ფილიპინელების სარდალი აგვინალდო ღალატის შემწეობით ტყვედ დაიჭირეს, ეს ამბავი ინგლისელ გენერალ ბადენ-პაუელს მეტად ჭკუაში მოსვლოდა და უმაღლესი კომისარი მილნერისათვის ერჩია—მოდი, ჩვენც ეგრე მოვახერხოთ და ბოტა, დევეტი, დელარეი და სხვები დავიჭიროთო. გაეგო თუ არა ლორდ კიტჩენერს, მაშინვე გადაჭრით ეთქვა, თუ მაგისთანა რამ გაჰბედეთ, მაშინვე მთავარ-სარდლობაზე ხელს ავიღებო და არც მოგცემთ ნებას, რომ, ვიდრე მე აქა ვარ, მაგისთანა უმსგავსობა ჩაიდინოთო. ამას კიდევ სხვა მიზეზები დაემატა და კიტჩენერსა და გენერალ ბადენ-პაუელს შუა დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა: ამიტომ ბადენ-პაუელი იძულებულია ინგლისში დაბრუნდეს. ბადენ-პაუელმა სახელი ქ. მეფეკინგის დაცვით გაითქვა.

ჩინეთი. ლაფანის სააგენტოს სწერენ ჩინეთიდან: „ჩინეთის მთავრობა მეტად ორპირად და ფარისევლურად იქცევა. ერთის მხრივ ევროპიელი ელჩების სასიამოვნოდ ბრძანებებსა სცემს, რომ ზოგიერთი მოხელე უცხოელთა დევნისათვის დაისაჯონო, მეორე მხრით ჯილდოს უნიშნავს იმ მოხელეებს, რომლებმაც უცხოელებს წინააღმდეგობა გაუწიეს, ან ქებით იხსენიებს იმ მოხელეებს, რომლებიც უცხოელებზე თავს დასხმის დროს დაიხოცნენ. ჩინეთის იმპერატორის სახლობა დღემდე იმ აზრისაა, რომ ომი უცხოელების წინააღმდეგ სამართლიანი და კანონიერი იყოო. იმ მოხელეებმა, რომლებიც პროგრესსიულ აზრებს მისდევენ, არ იციან, როგორ იქნებიან მიღებულნი როცა იმპერატორის სახლობა პეკინში დაბრუნდებაო. იმპერატორმა უბრძანა მეფის მოადგილეებს ლიუ-კუნიის და ჩანგ-ჩიტუნგს, რომ გამოარკვიონ, თუ რა ვადებში უნდა მიეცეს უცხოელებს საზღაური. მაგრამ ევროპის ელჩები, ალბად, არ მიიღებენ მათ წინადადებას, რადგანაც მხოლოდ ჩინეთის რწმუნებულებთან იჭერენ საქმესო».

ავსტრ-უნგრეთი. გაზ. «ტან»-ის კორესპონდენტის სიტყვით, ჩეხიის სეიმში, პრაგაში, დროებითი ბიუჯეტის განხილვის დროს, ჩეხებსა და გერმანელებს შუა ცხარე კამათი ასტყდა. გერმანელმა დეპუტატმა შუკერმა გაიხსენა «სოკოლების» დღესასწაული და ჩეხებს შესძახა: «აბა უჩვენეთ რა იქნებოდით: არც რუსებს, არც ფრანგებს თქვენთვის განათლება არ შეუძენიათ. ისინი ვერას გიშველიან. აბა რა სარგებლობას მოგიტანთ თვით პარიზის საქალაქო საბჭოს პრეზიდენტის მოსვლა?» ჩეხმა კრამარჟმა ხელად უპასუხა ამ მოქიშპე გერმანელს: «მხოლოდ ჩვენი საკუთარის ღონითა და ძალით შევიძინეთ ის, რაც ეხლა გვაქვს გერმანელები, პირიქით, ყველაფერში ხელს გვიშლიდნენ და ჩვენს განვითარებას ყოველნაირად აბრკოლებდნენ. არც ფრანგები, არც რუსები პრაგაში იმ აზრით არ მოსულან, რომ ჩვენთვის დახმარება გაეწიათ, რადგანაც ჩვენ ეს შემწეობა არც გვითხოვია. ისინი მოვიდნენ, რომ თავიანთი თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ჩეხიის ერისთვის, რომელიც თავის არსებობისა და უფლებისათვის იბრძვისო». თავის სიტყვის დასასრულ კრამარჟმა, მლადოჩეხების პარტიის სახელით გამოაცხადა, რომ

მეც მიყვარს ეს მხიარული, ცელქი, რის ცრემლთა მეოხებითაც ჰხარობენ და ჰყვავიან ათასფრად მინდორ-კორდ-ტყეველი და მისი სიცილ-ხარხარისგან იშლებიან ათას ფეროვანი ყვავილები.

მაგრამ მისი მოსვლის უმალ, კაცს რაღაცა არა სასურველი რამ ებადება გულში და არასფრით არ შეძლიან, რომ დაამარცხოს, გაანადგუროს ეს, არა ჩვეულებრივი, საკვირველი, თითქმის ავადმყოფური გრძნობა.

ის, რაც რომ ამ ახლო ხანში შესაძლებლად, აუცილებლად მეგონა, დღეს წარმოადგენს რაღაცა მედგარს, ულმობელ სათამაშოს.

აი კაცი, რომელსაც ყოველ დღე ვხვდები ხოლმე გზაში.

მისს არა ჩვეულებრივს, საეჭვო სახის გამომეტყველებაზედ, ჩაცვივნულ ლოყების ნაკვთებზედ, ნათლად სჩანს, რომ მომავალი გარდაწყვეტილია, მისი დღეები დათვლილია.

მაგრამ სუსხიან ზამთრის დღეს, ის მოსჩანდა ისე ჯან საღად, რომ ძალა-უნებურად მრწამდა ხოლმე შეუძლებელი შესაძლებლად...

ეხლა-კი, მთლად ჩაჰქრა უკანასკნელი სხივი იმედისა. ეს ის ტანჯულია, რომლის წუთებიც დათვლილია.

გაზაფხული მას სულს უხუთავს, თვისი კლანჭები მძლავრად ჩაუჭედია მისთვის. თავისი ალერსით იგი უღვიძებს ტკბილს გრძნობებს სასიცოცხლოდ და მხოლოდ მაშინ ალმოაქშენიებს უკანასკნელად სამუდამოდ, როდესაც მისი სურვილი სასიცოცხლოდ, არსებობისათვის უკანასკნელ ტანჯვა-წამების წერტილამდე მივა.

აი, რისთვის მგონია მე გაზაფხულის სიცილი—სატანის სიცილ-ხარხარად და მისი ალერსი—პირ-მოთნეობად...

მაგრამ მე მაინც საშინლად მიყვარს გაზაფხული!..

ივანე გარეთუბნელი.

ზვირზვინი

მოთხრობა

(თავისუფალი თარგმანი)

ვუძღვნი ქართველ ყრმა მოწაფეთ

I

პატარა ლეოს სრულებით არ უყვარდა სწავლა. იგი უფრო მინდვრად ხეტიალს არჩევდა, ვიდრე სკოლის ოთხ-კედელ შუა მეცადინეობა და გაკვეთილების შეგნებას.

ხშირად ლეო მთელის საათობით სულ განაბული უცქერდა სადმე ხის ძირას ბულურა ჩიტის განავარდებას.

ძრიელ უყვარდა ლეოს თავისუფლება და განსაკუთრებით ტყიულ-უბრალო ხეტიალი მთა-გორაკებზე, საიდანაც აღტაცებით გადაჰყურებდა ხოლმე თვალ-გადუწვდენელ სივრცეს მწვანე ზღვისას, მის დაუსრულებელ რხევას და მის ტალღათა გორვას.

ლეოს უდიდესი ბედნიერება და სიამოვნება ის იყო, როცა მეზღვაურნი თან წაიყვანდნენ მას ზღვაში სათევზაოდ; იგი დილიდან საღამომდე მათთან იყო ხოლმე. ან რასაკვირველია—ლეო მუდამ ცქრიალა, პირ-მოცინარი და უშიშარი იყო და მეთევზეებსაც სწორედ ეგ მისი უშიშრობა მოსწონდათ.

ასეთის გართობა-შექცევისათვის ლეოს ყოველთვის უსიამოვნება ელოდდა თავის სახლში. იგი დარცხვენილი და შემკრთალი შედიოდა მშობლების სადგომში, შიშით თვალს ვერ უსწორებდა მამის მრისხანე სახეს, რომელიც სავსე იყო ხმა ამოუღებლის საყვედურით. ამისთანა შემთხვევაში ლეო სწრაფად გაძვრებოდა საწოლ ოთახისაკენ, მყისვე ტანთ გაიხდიდა და სულ გატვრინული ლოგინში ჩაწვებოდა.

გვიან საღამოს, როდესაც სახლში ყოველივე მიჩუმდებოდა და მიწყნარდებოდა, ლეოსთან ჩუმად შემოვიდოდა დედა მისი, თვალ-ცრემლიანი მიეალერსებოდა შვილს და მამისაგან ფარულად ვახშამს შეაჭმევდა საჩქაროდ.

გულ აჩვილებული ლეო გრძნობით გადაეხვევოდა დედას და ჩურჩულით არწმუნებდა მას, რომ დღეის შემდეგ აღარ ვიხეტიალებ, ვიმეცადინებ და სწავლაში დავწინაურდებიო; მაგრამ გათენდებოდა თუ არა და მხის შუქზე ჩიტები აჭიკჭიკდებოდნენ, ლეოს თავის გრძნობიერი შეპირება სადღაც დაებნეოდა ხოლმე.

ერთხელ ლეო სრულებით დამშვიდებული დაბრუნდა სახლში, რადგან ეს დრო სწორედ ის ხანი იყო, როცა სკოლაში მეცადინეობა თავდებოდა, მაგრამ შემოსდგა კარებში ფეხი თუ არა, ძალზე გაოცდა.

მამა მისი ლოგინზე იყო გაშხლართული, ხოლო დედა იქვე დაჩოქილი იყო და მამის ფეხებთან მწარედ ქვითინებდა.

მომაკვდავმა, ყური მოჰკრა-რა შვილის ფეხის ხმას, ძლივს წამოსწია თავი, მიმქრალის თვალებით შეაშტერდა შვილს და დაუძახა:

— შვილო,—წამოიკვნესა მამამ და ნახევრად გაცივებული ხელი დაადო ბავშვის გაოფლიანებულ და აწეწილ თავზე,—შვილო, მე ვკვდები.. ამისთანა დროს ვერ დაგტუქავ. მაგრამ შენ დღესაც არ ყოფილხარ სკოლაში. დღეს რამდენჯერ მოგიკითხე და დაგიბარე, მაგრამ ამაოდ..

ამ პარტიის წევრები არასოდეს არ მოჰშლიან ბრძოლას და ჩეხიის ერის ისტორიულ და ეროვნულ უფლებათა აღდგენას ყოველთვის მედგრად მოითხოვენ.

საფრანგეთი. პალატის ერთ-ერთ ბოლონდელ სხდომის დროს დეპუტატმა მანიოდემ წინადადება შეიტანა, რომ ოთხი პირდაპირი გადასახადის მაგიერ შემოსავალზე გადასახადი დავაწესოთო. კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა პელტანმა, ლაზიმ, რიბომ და სხვებმა. პელტანი მანიოდეს წინადადებას მიემხრო. რიბომ წინააღმდეგ ილაპარაკა. ფინანსთა მინისტრმა კაიომ გამოაცხადა, რომ მთავრობა თავის პროგრამმას არ უღალატებს და ნოემბერში წინადადებას მისცემს პალატას, რომ საბოლოოდ განჩეჩიო დაადგინოს პირდაპირი გადასახადების თაობაზედ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, პალატამ 354 ხმის უმეტესობით 216 წინააღმდეგ დაადგინა, რომ შემოსავალზე გადასახადი ბიუჯეტში არ შეიტანოს და ცალკე განიხილოს. ამის შემდეგ 318 ხმის უმეტესობით 170 წინააღმდეგ პალატამ დაადგინა: მუშების პენსიების შესახებ კანონპროექტის განხილვა რომ გათავდება, ამას შემდეგ პალატამ შემოსავალზე გადასახადის პროექტი უნდა გაარჩიოს და ისიც უსათუოდ ბიუჯეტთან ერთად.

✿ ალჟირის ბერმა ანტისემიტმა რეჟისმა ადგილობრივ პრეფექტს გამოუცხადა, რომ სამსახურიდან გავდგებიო. როგორც სჩანს რეჟისი იმიტომ გადის სამსახურიდან, რომ ალჟირის გენერალ-გუბერნატორად რევოილი დანიშნეს, რომელიც ანტისემიტიზმს არ თანაუგრძნობს.

ახალი ამბავი

◆ სამთო-მრეწველობის წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს გამოაფინონ კავკასიის მომავალ გამოფენაზე ყველა სამთო მადნეულობის ნიმუშები, რომლებიც კი მოიპოვება სამთო მმართველობის მუზეუმში. სხვათა შორის, ტყიბულიდგან გამოიწერეს ქვანახშირის მადნის ნატეხი წონით 100 ფუთი. მომავალ გამოფენის პავილიონის უმთავრეს პავილიონის და თეტრის ამშენებელ მოიჯარადრეს 15 ივლისისათვის უნდა გაეთავებია სამუშაო და ჩაებარებია კომიტეტისათვის პავილიონები, მაგრამ დღესაც არ შეიძლება ითქვას, როდის იქნებიან ისინი მზად. მოიჯარადრის სიტყვით, ეს დაგვიანება აიხსნება მუშების რიცხვის სიმცირით.

◆ ბ. ტფილისის გუბერნატორს 100-ზე მეტი თხოვნა მოუვიდა ებრაელებისაგან, რომელნიც ტფილისში დარჩენის ნებართვას თხოულობენ. 11 ებრაელი უკვე გაგზავნეს ტფილისიდან.

◆ გუშინ, 3 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობას ჰქონდა სხდომა, რომელზედაც განიხილეს ახალ სასაკლაოს გამართვის საკითხი. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქის საბჭომ ჯერ კიდევ 1896 წ.-ში განიხილა და დაამტკიცა ბ. შიმკევიჩის მიერ შედგენილი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა სასაკლაოსი. ამ ხარჯთ-აღრიცხვით, ახალი სასაკლაო უნდა დაჯდეს 350.000 მანეთი. ქალაქმა ამ საქმისათვის 400.000 მანეთის საობლიგაციო სესხის აღების ნებაც აიღო მთავრობისაგან, მაგრამ აქამდე არ გაუსაღებია ობლიგაციები, რადგან ელის ფულის ბაზრის პირობების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, გასულ წლის ბოლომდე ქალაქს არ ჰყავდა საკუთარი ინჟინერი. გუშინდელ სხდომაზე გამგეობამ დაადგინა—მიენდოს ქალაქის ინჟინერს ენფიანჯიანცს ბეითალებთან და სასანიტარო საექიმო ინსპექტორთან ერთად გადაათვალიეროს შიმკევიჩის პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა და წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას თავისი მოსაზრებანი 20 აგვისტოსათვის. ამ ვადაზე უთუოდ უნდა გაათავოს თავისი მუშაობა მიუხედავათ იმისა, ზემოხსენებული პირები ივლიან სხდომებზე, თუ არა.

◆ კავკასიის მთავარ მართებლის თ. გოლიცინის ნებართვით, მიეცა საერობო თანხიდან ს. ავლევის (გორის მაზრა) ქსენონს—600 მ. და ს. ველის ციხისას—400 მ.

◆ დუშეთის მაზრის ს. ნავდარაანთ-კარის საზოგადოებაში, ოფიციალურის ცნობით, გავრცელდა წითელა.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულების თანახმად, ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიცმეისტერებს და სამაზრო ადმინისტრაციას სასტიკი თვალ-ყური ადევნონ საროსკიპო სახლებს, რათა იქ არ იყოლიონ ქალები 21 წელზე ნაკლები. თუ, ვინიცობაა, ხსენებულ სახლების პატრონები დაარღვევენ ამ განკარგულებას, ისინი პირველად პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი და თუ მეორეთაც შეამჩნიეს ეს უკანონობა, სახლები უნდა დაუკეტონ.

◆ განზრახულია გაფართოვება ტფილისისა და ნავთლუღის სადგურებისა. ამისთვის ქალაქმა უნდა მიუზომოს რკინის გზას საქალაქო მიწები. ამ საქმის მოწყობა მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც 15 ივლისს გამართავს სხდომას და დაათვალიერებს ადგილებს.

◆ გორიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში იქაურ ქალაქის სამმართველოს რწმუნებულების კრებამ შვიდის ხმით, წინააღმდეგ ექვსისა გადასწყვიტა ქალაქის ხარჯზე მიიღოს ქუჩების მოკირწყვლა. ამ საქმეს უნდა მოხმარდეს წელიწადში 1600 მანეთი. ზოგიერთ რწმუნებულებმა საკუთარი აზრი წარადგინეს, რომლითაც აცხადებენ, რომ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა ვერ აიტანს ამ ხარჯსაო.

◆ თელავიდან გვწერენ: „21 ივნისს აქ საქველ-მოქმედო მიზნით გაიმართა ხრილიანი ხადილი (bal poudre') ქ-ნ ანნა ვოლოხოვის თაოსნობით. მართალია, ეს მეჯლიში ხრილიანი ხადილის სახელს ატარებდა, მართალია, ვერცხლის ფერი ხრილი მრავლად იყო მომზადებული, მაგრამ დახრილულები ანუ პუდრ მოყრილები ცოტანი იყვნენ. ქ-ნი ვოლოხოვისა ყოველ წელიწადს რამდენჯერმე ჰმართავს საქველ-მოქმედო მიზნით რაიმე თავ-გასართობს მეჯლიშს. რასაკვირველია, ყოველს შემთხვევაში უმთავრესად სახეში ისა აქვთ, რაც შეიძლება მეტი ფული მოგროვდეს დანიშნულ საქველ-მოქმედო საქმისათვის, მაგრამ ნამდვილად კი ჯერ ერთი დამსწრეთ ძვირად უჯდებათ და მეორე—საქმესაც ნაკლები რჩება, რადგანაც თვით ხადილის მოწყობაც ძვირად ჯდება".

◆ ს. ახალქალაქიდან (გორის მაზრა) გვწერენ: „კვირას, 1 ივლისს, ქნ. გ. შერვაშიძისამ გაიმართა ადგილობრივ სკოლის სადგომში ქართულ-რუსული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი დანიშნული იყო ერთ ღარიბ მოსწავლის სასარგებლოდ. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო."

◆ სურამიდან გვწერენ: „შაბათს, 30 ივნისს, ადგილობრივ ახალგაზდობის მეთაურობით გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა სურამის სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენას კარგა ბლომა ხალხი დაესწრო და შემოსავალიც გვარიანი იყო."

◆ პარასკევს, 6 ივლისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ცხენის რკინის-გზის თვალ-ყურის გდება. კომისიის სხდომაზედ მიწვეულნი არიან აგრეთვე ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელნი ბ-ნ რიდზინსკი და ბლანში.

◆ ტფილისის ტრამვაის ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მოსპო მუქთი ბილეთების გაცემა, სანამ არ დაბოლოვდება უთანხმოება ქალაქისა და საზოგადოების დირექტორის შორის ამ ბილეთების შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ქ. თელავის სასაკლაოს ნიხრი: მსხვილ საქონელზე—50 კ., ღორზე—25, წვრილ-ფეხა საქონელზე—10, ბატკანზე და ციკანზე—5 კ.

◆ ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის დირექტორი ბ. მარკოვი ორის თვით საზღვარ გარეთ წავიდა.

◆ გუშინ წინ ბოქაულმა დუშინსკიმ ნახა კოჯრის გზაზე უგრძნობლად მდებარე მძიმედ დაჭრილი მათხოვარი სახელად ვანო (გვარი არ იციან). დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, საბრალო მათხოვარს, რომელიც თითქმის 80 წლის მოხუცი იყო, თავს დასცემია სამი ვიღაც უცნობი კაცი, წაურთმევიათ 3 მ., მუცელში მძიმედ დაუჭრიათ და გაქცეულან. საქმე მაზრის პოლიციას გადაეცა, რადგან მკვლელობა ქალაქის გარეთ მოხდა. თავის მხრივ ბ. დუშინსკიმ გუშინ 5 კაცი დააპატიმრა.

◆ ორშაბათს, 2 ივლისს, საღამოს 9 საათზედ მადათოვის ქუჩაზედ ერთი მეეტლე (№ 475) მიაქანებდა ეტლს, რომელშიაც ოთხი ქალი-შვილი ისხდა, და პირდაპირ მომავალ ცხენის რკინის-გზის ვაგონს დაატაკა. ეტლი წამოიქცა და ქვეშ მოჰყვა ოთხივე ქალი. საბედნიეროდ, დაშავებით არავინ დაშავებულა. მოულოდნელ უბედურებით დაფეთებული ქალები ჩასხეს ისევ იმ ეტლში და შინ გაისტუმრეს.

◆ 25 ივნისს, პოლიციის მეოთხე ნაწილში ახ. ლ. ბებუთოვის ქუჩაზე თავ. შერვაშიძის სახლის შესავალთან პოლიციის მოხელეს უნახავს მიგდებული ბავშვი მდედრობითი სქესისა; ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ გუშინ შუადღისას ცეცხლი გაუჩნდა ჩუღურეთში ცაპინის სახლს. ცეცხლი მალე გააქრეს, ზარალი ცოტაა.

სამრევლო სკოლების საქმე საქართველოს საეგზარხოსოში.

ჩვენში საეკლესიო სამრევლო სკოლების საქმე დღემდის ცოტათ თუ ბევრად წესიერად იყო დაყენებული. ამ სკოლების პროგრამის შემდგენელთ ეხელმძღვანელიათ იმ ჭეშმარიტ-სამეცნიერო აზრით, რომ ბავშვების გაწვრთნა და სწავლება პირველ-დაწყებით სკოლაში მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით შეიძლება. ამის მიხედვით, საქართველოს საეგზარხოსოს სამრევლო სკოლებში პირველ-დაწყებითი სწავლება ქართულ ენაზე სწარმოებდა და რიგიან ნაყოფსაც იძლეოდა.

უკანასკნელ ხანში, ნამეტურ მას შემდეგ, რაც ამ სკოლების მეთვალ-ყურედ დაინიშნა მამა ვოსტორგოვი, წინანდელი წეს-რიგი და პროგრამმა თანდა-თან ძირიანად იცვლება. ჩვენ ვსარგებლობთ გაზეთ „კავკაზ"-

---

შენ იქ არ ყოფილხარ... არ ყოფილხარ მაშინაც, როცა მღვდელი ჩემს საზიარებლად წამოვიდა... შეიძლება ისე მომკვდარიყავ, რომ არც კი დამელოცნე უკანასკნელად!..

მამა გაჩუმდა... მეტი ლაპარაკი არ შეეძლო, ლეო კი ცრემლით იმდუღრებოდა. მას ერთბაშად წარმოუდგა თვალ წინ ყოველივე უბედურება, მამის სიკვდილი, დასაფლავება და საუკუნოდ განშორება... ალბად ეს საუკუნო არ ყოფნა არის ის, რასაც სიკვდილს ეძახიან.

ძალზე მოწოლილი სევდა-დარდისაგან ლეოს გული გულში მოებჯინა და რაღაც უცნობმა, ყოვლად გაუგებარმა შიშმა მთლად შეიპყრო მისი პატარა არსება.

მომაკვდავმა უკანასკნელი ძალ ღონე შეიკრიბა და განაგრძო.

— შენ ეხლა მარტო დარჩები დედა-შენთან... ჩვენ ძალზე ღარიბნი ვიყავით... ილოდე, მუშა-კაცის იღბალი სიღარიბეა... დიახ, ძალზე ღარიბნი ვიყავით. მაგრამ უჩემოდ შენ და დედა შენს უფრო გაგიჭირდებათ... ყური მიგდე, შვილო.. თუ გინდა, რომ ეს უკანასკნელი ალსასრულის წამები გამიადვილო, ნუ ჩამატან თან საფლავში დარდსა და ბოლმას... მითხარ და შემპირდი, რომ შენის ყოფა ქცევით დღეიდან მაინც არ ატირებ საცოდავ დედაშენს!..

— გეფიცები, მამაჩემო!—წამოიძახა გულმომკვდარმა ბავშვმა.

მამამ უკანასკნელად ხელი თავზე დაადო შვილს და სულიც განუტევა. შვილმა ჯერ მლოცველ ხელს და მერე შენდობის გამომთქმელ ტუჩებს ემბორა, თითქოს ამით განამტკიცა თავისი ფიცი.

II

მამის დასაფლავება ძლიერ გაუჭირდათ დედა-შვილს; საბრალოთ არა ებადათ-რა. კიდევ კარგი, იმ მრევლის მღვდელი გულკეთილი და ქველ მომქმედი იყო და ყველაფერი გაუადვილა საბრალო ჭირისუფლებს.

კუბოს, კეთილი მღვდლის გარდა, მისდევდა რამდენიმე მუშა კაცი და ბოლოს დედა და შვილი მიდიოდნენ.

საბრალო ლეოს ტირილიც არ შეეძლო. იგი ერთბაშად დადინჯდა. სად იყო მისი სიცელქე, სიცილი, იგი ჩამოხმა, გაფითრდა.

ანდერძის აგების შემდეგ კუბო სამარეში ჩაუშვეს. ცოლისა და შვილის ცრემლთან ერთად კუბოს-ზედ დაეცა რამდენიმე მუჭა მიწა და მალე სამარე ამოივსო და ამოგორაკდა. მესაფლავემ საიდგანაც მოიტანა ძველი, უკვე ნახმარი ხის ჯვარი და მოწიწებით საფლავს მაგრად დაურჭო. ყველანი დაიშალნენ ნელ-ნელა

დედა და შვილი ეხლა სრულებით მარტოდ-მარტონი დარჩნენ—ერთი ქვრივი, მეორე ობოლი.

საბრალო ქვრივმა ერთხელ კიდევ გადახედა უმწეოდ ახალს საფლავს და მწარედ წამოიოხრა:

— უბედურს, ერთი უბრალო გვირგვინი მაინც ღირსებოდა; ლეოს ამ გულ-უბრიყვილო ნატვრაზედ კრინტიც არ დაუძრავს.

III

მოხუცი მასწავლებელი ბართლომე სწორედ გაკვირვებული იყო ლეოს მეცადინეობით და მუყაითობით. მასწავლებელს ვერ წარმოედგინა, რომ როდისმე რაიმე სიკეთე გამომდინარიყო ყოვლად გაზარმაცებულის, გიჟისა და დაუდგრომელის ლეოსაგან, რომელზედაც არავითარი სიტყვა და სასჯელი არ მოქმედებდა. მაგრამ ლეო საგანგებო დანიჟებით მეცადინეობდა და მისს ყოფაქცევას სხვები შენატროდნენ.

მოხუცი ბართლომე სიხარულით აღარ იყო ლეოს ასეთის წარმატებით.

გამოცდის შემდეგ, როცა საუკეთესო მოწაფეთ სკოლაში ჯილდოს ურიგებდნენ, ლეო ალერსიანად ეხვეწებოდა დედას, რომ ისიც წამოსულიყო სკოლაში სადღესასწაულო აქტზე. დედა უარზე იდგა.

— აბა, შვილო, რა მინდა სკოლაში ამ ჩემის ძაძებით. შე ხომ, სულ ერთია, ვერაფერს მიიღებ. .ეჰ, შვილო, შენ რომ იმ თავითვე გამეცადინა, ეხლა სულ სხვა იქნებოდა!

შვილი მაინც არ მოეშვა დედას და როგორც იყო, დაიყოლია. ქვრივი წაყვა შვილს. სკოლაში სკოლის ეზო ხალხით სავსე იყო. რადგან სკოლას ქალაქი ინახავდა ქალაქის გამგენი და ქალაქის მოურავიც იქ იყვნენ. ქვრივი ყველას უკან მოეთავსა სადღაც კუნჭულში. დაიწყო სკოლის სადღესასწაულო აქტი.

ღმერთო, ეს რა მოესმა ქვრივს? შვილის სახელი და გვარი.. ლეო, ღმერთო, აი ლეოსაც გამოუძახეს... ლეო ადის ამაღლებულ ადგილზე. ქალაქის მოურავი ჰკოცნის ლეოს და მის ნორჩს თავს გვირგვინით ამკობს, ვითარცა საუკეთესო მოწაფეს... დედას ესმის, რომ ხალხში ლეოს სახელს ხშირად იმეორებენ. საბრალო ძლივსღა სდგას ფეხზე... მაგრამ აი ლეოც... იგი გახარებული მორბის დედისაკენ და, აღელვებული, გვირგვინით შემკულ თავს გაუწვდის დედას საკოცნელად...

დედა უზომოდ ბედნიერია... იგი სტირის, მაგრამ ეს ცრემლები ნეტარების ცრემლებია. ქმრის სიკვდილის შემდეგ საბრალო სასოწარკვეთილის ქვრივის თვალებში პირველად იელვა იმედის სხივებმა, შავ ბნელი მომავალი განათლდა!

სადღესასწაულო აქტის გათავებას მუსიკამ ერთხელ კიდევ მხიარულად გაიხმაურა და ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა.

— დედა, დედილო, აი აქეთ წამოდი, აქეთ! ეწევა ლეო დედას მეორე მხრისაკენ.

გახარებული დედა ხმა ამოუღებლივ მიჰყვება შვილს და სიამოვნებით გაბრუებული არას ხედავს, არა ეყურება-რა.

შვილი და დედა ქალაქის განაპირას გავიდნენ...აი სასაფლაოსაც მიუახლოვდნენ... აი იმის საფლავიც, რომელმაც ეს ორი ადამიანი საუკუნოდ დასტოვა.

ლეომ დედას გაასწრო, სწრაფად მივიდა მამისს საფლავთან, ჯვარს ზედ ჩამოჰკიდა თავისი გვირგვინი და ტკბილად გაეხმაურა დედას:

— ნუ სწუხარ დედი, აი ეხლა მამასაც აქვს გვირგვინი!..

გალიკო.

ში გუშინ და წინადაც დაბეჭდილ ცნობებით ამ საქმის შესახებ და გვინდა გავაცნოთ მკითხველთ ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაახლოვებით ის, რის შემოღებას ეხლა აპირებენ. ამ რამდენიმე ხნის წინად საქართველოს ეპარქიალურ სასწავლებელთა საბჭომ ამოირჩია კომისია, რომელსაც, მთავრობის განკარგულებით, მიანდო შეემუშავებინა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო მომავალ სამოსწავლო წლიდან პირველ-დაწყებით სამრევლო სკოლებში სწავლება. კომისიას, მიუღია რა სახეში ის გარემოება, რომ მომავალ წლიდან სამის წლის ნაცვლად სასწავლებლებში სწავლება ოთხ წელიწადს გაგრძელდება, მთელი სასწავლო მასალა გაუნაწილებია ისე რომ მოსწავლე ბავშვებს შეეძლებოდეთ მათი შეთვისება ოთხის წლის განმავლობაში. კომისიის ამ საგნის შესახებ მოხსენება ეპარქიალურ სასწავლებელთა საბჭოს არ მიუღია და თავის მხრით აი როგორ გადაუწყვეტია მოეწყოს სწავლების საქმე:

პირველ-დაწყებით სამრევლო სკოლებში ქალაქებში სწავლება უსათუოდ რუსულს ენაზედ უნდა სწარმოებდეს სწავლის დაწყების პირველ წლიდგანვე და ამ ენის საშუალებით უნდა შეისწავლონ ყველა საგნები. საბჭოს ეს იმ მოსაზრებით გადაუწყვეტია, რომ ქალაქებში ბავშვებმა იმდენად კარგად იციან რუსული, რომ შეუძლიანთ პირ-და-პირ ამ ენაზედ შეუდგნენ სწავლასაო. ხოლო სოფლის სამრევლო სკოლებში ქართულ ენაზედ უნდა ასწავლონ საგნები პირველს სამს წელიწადს, მეოთხე წელიწადს-კი რუსულს ენაზედ უნდა გაიარონ ყოველივე ის, რაც სამის წლის განმავლობაში ქართული ენის საშუალებით შეუძენიათ ბავშვებს.

ამ რიგად სოფლის სამრევლო სკოლებში რჩება წინანდელი წესი, მაგრამ ეს მხოლოდ პირველის შეხედვით; ნამდვილად-კი იქაც საქმე სრულიად იცვლება. აი როგორ: ნაბრძანებია, რომ სოფლის იმ სამრევლო სკოლაშიაც, სადაც სხვა და სხვა ტომის ბავშვები სწავლობენ, სწავლება რუსულს ენაზე სწარმოებდესო, ჯერ მუნჯურის მეთოდის საშუალებით, მერე პირდაპირ რუსულის ენის შემწეობით. ხოლო, რადგანაც ჩვენში ძნელი საპოვნელია ისეთი სკოლა, სადაც რამდენიმე ბავშვი მაინც არ ერიოს უცხო ტომისა, ამიტომ სოფლის სამრევლო სკოლების დიდ უმრავლესობაშიაც ქართული ენა დარჩება მხოლოდ როგორც ცალკე საგანი, ბავშვებს კი რუსულად ასწავლიან.

რამდენად მოიგებს ამ ცვლილებებით სწავლის საქმე სამრევლო სკოლაში, ეს ჩვენმა მკითხველებმა კარგად უნდა იცოდნენ.

პრესსა

სწავლა-განათლების რეფორმის საქმემ, სხვათა შორის, აღძრა ლაპარაკი ქალების სწავლების რეფორმის შესახებაც. მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს ამ საქმეშიაც შეიტანოს საჭირო ცვლილებები, მაგრამ მათი აღსრულება გადაიდო შემდეგი წლისათვის. ასე რომ ქალთა საშუალო სკოლის საქმე მერმის განიხილება, ხოლო ქალთა უმაღლეს სწავლის შესახებ სჯა იქნება, ალბათ, მომავალ ზამთარში, როდესაც მთავრობა შეუდგება საუნივერსიტეტო რეფორმის განხილვას. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ რუსეთის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ქალებს ნება უნდა მიეცეთ ვაჟებთან ერთად ისწავლონ უნივერსიტეტში. დღეს ამ აზრის არიან არა თუ ეგრედ წოდებული ლიბერალური გაზეთები, არამედ ისეთი რეაქციონური გამოცემანიც, როგორიც არის „ნოვ. ვრემია.“ ამ გაზეთმა ამას წინად გამოსთქვა თავისი აზრი ქალების უმაღლეს სწავლის შესახებ და ყველა გააკვირვა თავისუფალ და პროგრესსიულ მსჯელობით. „როსსია“-მ ეჭვიც გამოაცხადა—შემთხვევითი წერილი ხომ არ დაუბეჭდია „ნოვ. ვრემია“ საო. მაგრამ დღეს ეს გაზეთი კიდევ უფრო გარკვევით იცავს თავის პირვანდელ წინადადებას. სუვორინის ორგანოს მოჰყავს „დონსკაია რეჩ“-ის შემდეგი ადგილი:

> „ქალთა უმაღლეს სწავლების საკითხი ცხოვრებამ უცნაურად გადასწყვიტა. ერთის მხრით, რამდენიმე ასი ახალგაზდა ქალი შორს, უცხო ქვეყნებში მიდის; იქ ისინი არ ერიდებიან უცხოთა შორის ცხოვრებას, ურიგდებიან ყოველგვარ გაჭირვებას, სწავლობენ უცხო ენას, ოღონდ შეძლება ჰქონდეთ უმაღლესის სწავლის მიღებისა. ისინი სწავლობენ, თუმცა ისიც არ იციან, გამოადგებათ მიღებული სწავლა თუ არა? უმაღლეს სწავლის მიღების სურვილი იმდენად დიდია ქალთა შორის, რომ მათ არ აშინებს მრავალგვარი სიძნელე, რომელიც წინ ელობება მათ საზღვარგარეთ უნივერსიტეტში შესვლის დროს. ამას მიუმატეთ ნივთიერი შეჭირვება, რომელსაც ითმენენ ახალგაზდა ქალები საზღვარ გარედ, და თქვენ მაშინ დარწმუნდებით, რომ ცხოვრებას ენერგიულად დაუყენებია აღნიშნული საგანი და რომ უსაჭიროეს საქმედ ხდება ამ საკითხის წესიერი გადაწყვეტა“.

მოჰყავს-რა „ნოვ. ვრემია-“ს ეს ადგილი, თავის მხრით დასძენ:

> „მართლაც დიდათ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ქალები იძულებულნი არიან საზღვარ-გარედ წავიდნენ იქაურ უნივერსიტეტებში სწავლის მისაღებად. ამბობენ, რომ ქალთა და ვაჟთა ერთად მეცადინეობა ზნეობრივად მავნებელი იქნება მსმენელთათვისო; მაგრამ როგორ ხდება ეს, რომ საზღვარ-გარედ ჩვენს ქალებს არაფერი არ დაუშავებიათ და, პირიქით, მათ პატივის ცემითა და ქებით იხსენიებენ? თუ ისინი იქ, სხვის ქვეყნებში, კარგები არიან, სამშობლოში როგორ უნდა შეუშალონ ხელი ვაჟებს?! სახელმწიფოსათვის უფრო სასარგებლო იქნება შეძლება მისცეს ქალებს სამშობლოშივე მიიღონ ის, რის მისაღებად უცხოელთ უხდიან რუსის შრომა-ოფლით შეგროვილს ორიოდე გროშს“...

აღარ შეიძლებაო, სამართლიანად აბოლოვებს გაზეთი წერილს, უყურადღებოდ დავტოვოთ უტყუარი ფაქტი: საზოგადოებაში დაიბადა მოთხოვნილება, რომ ქალებმაც მიიღონ უმაღლესი სწავლა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება.

ხვალ მოხდება გაგრძელება ქართულ დრამატ. საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებისა. 1-ლ სხდომაზე, როგორც ემახსოვრება მკითხველებს, გამგეობის ანგარიში კრებამ არ განიხილა და არ დაამტკიცა, რადგან დაბეჭდილი არ იყო. ეხლა ეს ანგარიში დაიბეჭდა და მოგვყავს საზოგადოების საყურადღებოდ ზოგიერთი ადგილები.

საანგარიშო ხნის განმავლობაში გამგეობის მოქმედება გამოიხატა სეზონის მართვაში და თეატრის იჯარის მოწყობაში. თეატრის იჯარაზე სხვაგან იქნება ლაპარაკი, ხოლო რაც შეეხება სეზონის მართვას, გამგეობამ მიიღო ღონე ახალი არტისტების და პიესების მოსაზიდავად და ამისათვის გამართა გამოსაცდელი წარმოდგენა და გამოაცხადა ჩვეულებრივი პრემია. გამოსაცდელმა წარმოდგენამ სავსებით ვერ გაამართლა გამგეობის იმედი და ტრუპას ვერ შესძინა ცოტად თუ ბევრად ნიჭიერი არტისტი, თუმცა უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა, რომ ამ წარმოდგენამ შეგვძინა რამდენიმე ახალგაზდა მსახიობი, რომელნიც სეზონის განმავლობაში იღებდნენ მონაწილეობას და ხელს უწყობდნენ წარმოდგენების წესიერად სვლას. საპრემიოთ გამგეობამ მიიღო რამდენიმე პიესა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი არ აღმოჩნდა პრემიის ღირსი.

სეზონის დაწყება განზრახული იყო 1 ოქტომბერს და დიდ მარხვამდე უნდა გამართულიყო 25 წარმოდგენა, მაგრამ თეატრისა და მის განათების მოუწყობლობის გამო პირველი ქართული წარმოდგენა მოხდა 19 ოქტომბერს და ამიტომ 25 წარმოდგენის მაგივრად გაიმართა სეზონის განმავლობაში ოცი, რამაც დიდი გავლენა იქონია შემოსავალზე—ორთა შუა რიცხვით თითო წარმოდგენის შემოსავალი უდრის 443 მ. და ხუთი გაუქმებული წარმოდგენის შემოსავალიც რომ ამდენი ვიანგარიშოთ, წარმოდგენების შემოსავალი 9,749 მ. მაგივრად 11,900 მანეთამდე ავიდოდა.

მუდმივ დასს შეადგენდა ყველა ჩვენი თვალსაჩინო არტისტები, ხოლო ისინი, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზის გამო მუდმივ მონაწილეობას ვერ იღებდენ დასში (ვ. ალექსი მესხიშვილი, ეფ. მესხი და ნ. ჩხეიძე) დრო გამოშვებით იღებდნენ მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში.

რეპერტუარი რამდენადაც შესაძლებელი იყო განახლდა—სეზონში დაიდგა 11 ახალი პიესა და 4 ვოდევილი.

სეზონ გარეშე გაიმართა სამი წარმოდგენა: პატივცემულმა ნ. დ. ჩოლოყაშვილისამ გამართა საზოგადოების სასარგებლოთ ჩვეულებრივი საქველ-მოქმედო წარმოდგენა ცოცხალი სურათებით, ხოლო გამგეობამ გამართა განსვენებული რაფიელ ერისთავის სახელით დაარსებული ფონდის გასაძლიერებლად დრამატიულ-ლიტერატურული საღამო და ბ-ნი გ. სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს“ 30 წლის არსებობის სახსოვრად საიუბილეო წარმოდგენა.

საანგარიშო ხნის განმავლობაში გამგეობა შეძლებისდა გვარად ეხმარებოდა სახალხო და პროვინციის თეატრებს ფულით და ტანისამოსისა და პიესების თხოვებით.

შემოსავალ გასავლის ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ

საღამოს დეპეშები

3 ივლისა.

პეტერბურგი. ფინლიანდიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გლაზოვი დაინიშნა ნიკოლოოზის აკადემიის უმთავრეს შტაბის უფროსად.

გამოცხადებულია, რომ ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა შესაძლოდ სცნო, რომ ჩინეთში უბაჟოდ იქნას გატანილი სპიჩკა.

ცნობილი მოღვაწე ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში მურავიოვის დროს საპატიო ოპეკუნი ივანე პეტრეს ძე კორნილოვი 2 ივლისს გარდაიცვალა.

ლონდონი. დეზოლაცრონსკოპიდან გრააფრეინტეტის გზით იტყობინებიან, რომ ბურების ბოოს ბანაკზე თავდასხმა ოთხის რაზმით განზრახული იყო უკვე ორის კვირის წინეთ. რაზმები ახდენდნენ დემონსტრაციას სხვა და სხვა მხრისაკენ, სანამ პოლკოვნიკმა სკობელმა, რომელიც ხელმძღვანელობდა თავდასხმას, არ გამოჰყო ცხენოსანი ჯარი და არ გასცა ბრძანება იერიშით მისულიყვნენ მტრის პოზიციაზე აღმოსავლეთის მხრიდან, და ამასთანავე თვითონ ულანებითა და იომანრით შემოუარა პოზიციას დასავლეთის მხრიდან. შეპერსი უმთავრესის ძალებით გაჩქარებულის მარშით მოშორდა ადგილს. სკობელმა აიღო ბურების ბანაკი და დავლათ აიღო 56 ცხენი, 25 თოფი, სასროლი მასალა, სურსათი და ტყვედ აიყვანა 25 კაცი; ინგლისელებს ზარალი არ მოსვლიათ. როგორც გამოირკვა, ყველა ტყვეები აჯანყებულთაგანი არიან. შეპერსის ადიუტანტი ლიბერბერი და პორუჩიკი ლუი დატყვევებულთა რიცხვში არიან.

კიტჩენერის დეპეშა პრეტორიიდან იტყობინება, რომ იქ მიიყვანეს პრეზიდენტის თანამდებობის აღმასრულებლის შალკბურგერის მეუღლე.

ლეიფციგი. იტყობინებიან, რომ ლეიფციგის ბანკის საკანტროლო საბჭოს თავმჯდომარე დოდელი დღეს გამოუშვეს საპატიმროდან.

კონსტანტინეპოლი. ქედივი კარლსბადში წავიდა.

შანჰაი. ხანკოუსთან წყალ-დიდობის მიზეზით დიდ-ძალი ხალხი დაიღუპა.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ზუხნია.	**ალ. ჯაბადარი.**

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში. (000—8)

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსია არის: ორმოცდა ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულს ხარჯზე და 2—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთების ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ ჰსურთ შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთა ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერი კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოწაფეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20 მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему дворянской школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ში მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილი იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს, როგორც ფულის თავ-თავის დროზე შეტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—6.—4)

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამ. ამხ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიათ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Іюля 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.